

კურიკულუმის რუკა

(მაგალითი)

	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7
სასწავლო კურსი 1							
სასწავლო კურსი 2							
სასწავლო კურსი 3							
სასწავლო კურსი 4							
სასწავლო კურსი 5							
საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და საკვალიფიკაციო წაშრომი							

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნები/ პროგრამის შედეგები ¹	პროგრამის მიზანი 1	პროგრამის მიზანი 2	პროგრამის მიზანი 3			
პროგრამის შედეგი 1	✓					
პროგრამის შედეგი 2		✓	✓			
პროგრამის შედეგი 3	✓					
პროგრამის შედეგი 4			✓			
პროგრამის შედეგი 5						
პროგრამის შედეგი 6		✓				

¹ რუკა გვიჩვენებს პროგრამის მიზნების შესაბამისობას, პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მაქსიმუმ 10.

განმარტებები:

პროგრამის სწავლის შედეგი: პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

შეფასების მეთოდი:

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);

სამიზნე ნიშნული: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული წარმოადგენს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები აღნიშნულ სწავლის შედეგს. სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება წინა გამოცდილების მონაცემების ანალიზის და/ან სასურველი/მოსალოდნელი შედეგის საფუძველზე.

მონაცემების შეგროვების დრო: სემესტრი, როდესაც ხდება იმ სასწავლო კურსის ან აქტივობა, ან სტაჟირება, ან საკვალიფიკაციო გამოცდა, ან საკვალიფიკაციო ნაშრომი/გამოცდა და სხვ. შეთავაზება, რომლითაც ფასდება აღნიშნული სწავლის შედეგი.

პასუხისმგებელი პირი: პირი/პირები, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა შეგროვებაზე.

მიღებული შედეგების ანალიზი: პირი/პირები, რომელიც პასუხისმგებელია შეგროვებული მონაცემების ანალიზისა და შეფასებაზე.

განხორციელებული ცვლილებები: შეფასების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ცვლილებები.

მაგალითი

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი, რომლითაც ხდება შეფასება	შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნულები	მონაცემების შეგროვების დრო	პასუხიმიგებელი პირი	მიღებული შედეგების შეფასება	განხორციელებული ცვლილებები
<p>1. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეეძლება მათ მიერ ლაბორატორიაში განხორციელებული ექსპერიმენტების შედეგების წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია</p>	<p>კურსი A</p>	<p>ექსპერიმენტების შედეგების ანგარიში და პრეზენტაცია</p>	<p>სტუდენტების 70% მიიღებს 3 ან 4 ანგარიშის შეფასების რუბრიკის იმ ნაწილში, რომლითაც ექსპერტიმენტის შედეგების გადმოცემის უნარი მოწმდება. ასევე, სტუდენტების 70% მიიღებს 3 ან 4 პრეზენტაციის შეფასების რუბრიკის იმ ნაწილში, რომლითაც პრეზენტაციის უნარები მოწმდება.</p>				
<p>2.</p>							

3.							
4.							

2018 წლის შედეგები: შეფასებული იქნა 52 სტუდენტი (52% შესაფასებელი ერთობლიობიდან). შეფასებული სტუდენტების 80%-ს ჰქონდა 4-ზე მაღალი შეფასება.

დაგეგმილი აქტივობები: ამ ეტაპზე პროგრამის განვითარების კომიტეტმა გადაწყვიტა, არ განხორციელოს ცვლილებები და დაელოდოს შემდეგი შეფასების შედეგებს.

მეორე შეფასება განხორციელდება 1 წელში.

პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, შეფასების პირდაპირ მეთოდებთან ერთად, შეიძლება გამოყენებულ იქნას შეფასების არაპირდაპირი მეთოდებიც. მაგალითად, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, სადაც ჩამოწერილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს სტუდენტებმა შეაფასონ საკუთარი თავი და აღნიშნონ, თუ რომელ სწავლის შედეგზე რა დონით გავიდნენ. აღნიშნული კითხვარი ასევე შეიძლება გაეგზავნოთ დამსაქმებლებს, რათა მათ გამოხატონ თავისი აზრი, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები რომელ სწავლის შედეგზე რა დონით გადიან.

კითხვარების შედეგების დამუშავების შემდეგ შესაძლებელია, ფოკუს ჯგუფის ინტერვიუების ჩატარებაც უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად.